ქ.თბილისში, ონიაშვილის ქ.№47-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მის მომიჯნავედ მდებარე (ონიაშვილის ქ.№49) 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ტექნიკური

დასკვნა

ქ.თბილისი

29 მაისი 2014წ.

ონიაშვილის ქ.№47-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 7 სართულიან კარკასული ტიპის უსარდაფო ნაგებობას. იგი უშუალოდ ემიჯნება მთავარი ფასადის მარცხენა მხარეს განთავსებულ (ონიაშვილის ქ.№49) ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს.

საპროექტო შენობის მშენებლობის დაწყებამდე, კერძოდ ქვაბულის დამუშავებამდე, დასკვნა-რეკომენდაციებითა და ასევე კონსტრუქციული გადაწყვეტებით განსაზღვრული იყო მომიჯნავე ორ სართულიანი შენობის მზიდი კედლის გასწვრივ (კედელი უსუალოდ ემიჯნება საპროექტო მიწის ნაკვეთს) მოწყობილიყო მონოლითური რკ.ბეტონის ე.წ. შპუნტური კედელი, რომელიც ჩაანკერებულია ძირითად ფუძე-კუმშვად ქანებში ნაბურღ-ინიექციური ხიმინჯებით.

ადგილზე ვიზუალური დატვალიერებით, ასევე წარმოდგენილი დარული სამუშაოების აქტებით დგინდება, რომ დასკვნა-რეკომენდაციებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტებით განსაზღვრული მონოლითური რკ.ბეტონის ე.წ. შპუნტური კედელი ხიმინჯოვანი დასაძირკვლებით რეალურად შესრულებულია, კერძოდ მოეწყო 30 ცალი ნაბურღ-ინიექციური ხიმინჯი დიამეტრით d=130მმ, რომლებიც ჩაანკერდა ქვიშაქვებისა და არგელიტების სუსტად გამოფიტულ შრეობრივ მორიგეობაში, მასში შეჭრით 50-100 სმ-ით. შემდგომში მოხდა აღნიშნული ხიმინჯების გაერთიანება მონოლითური რკ.ბეტონის შპუნტური კედლით სისქით 30 სმ, რომელიც შესრულდა ეტაპობრივად ზემოდან ქვემოთ მიმართულ მონაზომებად. კედელი მოეწყო საპროექტო შენობის ქვაბულის ძირის დონემდე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებარე საცხოვრებელ სახლსა და მის მომიჯნავედ (ონიაშვილის ქ.№49) მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს შორის ე.წ. შპუნტური კედელი სესრულებულია დასკვნა-რეკომენდაციებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების საფუძველზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი /ა.კორკოტაშვილი/

მობ.ტელ. 599 18 86 52

ელ.ფოსტა. **korkotashvili.sandro@yahoo.com**

ქ.თბილისში, ონიაშვილის ქ. 47-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდებარე (მომიჯნავე) შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი 25 თებერვალი 2014წ

ჩვენს მიერ მიმდინარე წლის 24 თებერვალს ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა ქ. თბილისში , ონიაშვილის ქN 49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა, მის მომიჯნავედ ონიაშვილის ქN 47-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობიდან გამომდინარე , მის მდგრადობაზე უარყოფითი ზეგავლენის აღკვეთის მიზნით კონსტრუქციული ღონისძიებების დასახვისათვის.

ონიაშვილის ქ. N 49-ში მდებარე არსებული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 2 სართულიან ნაგებობას. მისი კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია ურთიერთგადამკვეთი მზიდი კედლებით , რომლებიც ნაგებია აგურის წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე აღნიშნული საცხოვრებელი სახლის საძირკვლები ყორე ქვის წყობითა წარმოდგენილია ჩაღრმავებით მიჯის ზედაპირიდან 0.5 მ.

როგორც ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა განსახილველ შენობას არ აღენიშნება მძიმე ხასიათის ჯდენითი მოვლენები და მისგან გამოწვეული დეფორმაციები და ბზარწარმოქმნები.

ონიაშვილის ქ N 49-ში მდებარე არსებულ შენობაზე ონიაშვილისქ. 47-ში საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობიდან გამონდინარე უარყოფითი ზეგავლენის აღკვეთის მიზნით აუცილებელია ე.წ. შპუნტური კედლის მიჭყობა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებით:

1. ქვაბულის დამუშავებამდე ონიაშვილის ქ. N 49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდ მზიდი კედლის გასწვრივ, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მშენებარე საპროექტო შენობას, მოეწყოს ნაურღი-ინიექციური ხიმინჯების (d=130 მმ) რიგი ბიჯით 60 სმ.
2. ქვაბულის დამუშავება მოხდეს ეტაპობრივად, კერძოთ ქვაბულის 1.0 მ სიღრმის დამუშავების შემდგომ მოხდეს ზემოდ აღნიშნული ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების გაერთიანება მონოლითური რკ.ბეტონის კედლით. მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდეს ქვაბულის შემდგომი დამუშავება 1.0 მ სიღრმეზე, რომლის დამუშავების შემდგომ კვლავ განხორციელდეს ნაბურღი-ინექციური ხიმინჯების გაერთიანება მონოლითური რკ.ბეტონის კედლით. ძემოდ მიყვანილი სქემის მიხედვითგანხორციელდეს ქვაბულის შემდგომი დაღრმავება საპროექტო ნიშნულამდე.

მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს მომიჯნავს შენობაზე(ონიაშვილის ქ N 49) მშენებარე საცხოვრებელი სახლის უარყოფით ზეგავლენის აღკვეთას.

შპუნტური კედლის მიწყობის საპროექტო გადაწყვეტები აუცილებელია დამუშავებულ იქნას პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი /ა.კორკოტაშვილი/

პირადი 01030030182

მობ.ტელ: 599-18-86-52

ელ.ფოსტა: korkotashvili.sandro @ yahoo.com